



## შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

### ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთა გამოკითხვა

#### შესავალი

მოცემული დოკუმენტი წარმოადგენს შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა სასწავლო პროცესის შეფასების შედეგებს. გამოკითხვა განხორციელდა 2021-2022 სასწავლო წელს.

#### კვლევის მიზანი

კვლევის მიზანს წარმოადგენდა შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა მიერ სასწავლებლის სასწავლო პროცესების და მატერიალურ ტექნიკური რესურსების მიმართ დამოკიდებულებების შესწავლა. გვსურდა დაგვედგინა სტუდენტთა კმაყოფილება მიმდინარე პროგრამასთან მიმართებაში, გამოგვეკვეთა მათი მხრიდან დანახული პროგრამის სუსტი და ძლიერი მხარეები და მიღებულ შედეგები გამოგვეყენებინა ინსტრუმენტად საგანმანათლებლო პროგრამაში შესაბამისი ცვლილებების შესატანად.

კვლევის ამოცანებს წარმოადგენდა:

1. სასწავლო პროგრამების შეფასება სტუდენტები მიერ;
2. კმაყოფილების დონის შეფასება სასწავლებლის ადმინისტრაციული პერსონალის მიმართ
3. სტუდენტების მიერ სასწავლებლის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეფასება;

#### კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მიზნის მისაღწევად გამოყენებულ იქნა კვლევის რაოდენობრივი მეთოდი. რაოდენობრივი კვლევისათვის მონაცემების მოპოვების გზად არჩეულ იქნა ონლაინ გამოკითხვა “Google Forms” პლატფორმის გამოყენებით, რომლის ფარგლებში თითოეულ რესპონდენტს სოციალური ქსელის მეშვეობით გადაეგზავნა სპეციალურად შემუშავებული კითხვარის ბმული. გულახდილი პასუხების მიღებისა და, შესაბამისად, გამოკითხვის შედეგების სანდოობის ამაღლების მიზნით, გამოკითხვა იყო ანონიმური. რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტად გამოყენებულ იქნა სტრუქტურირებული ანკეტა, რომელიც მოიცავდა ე.წ. ”დახურულ კითხვებს” ( იხ დანართი 1), სადაც წინასწარ იყო მოცემული სავარაუდო პასუხები, თუმცა რესპოდენტს ასევე

ეძლეოდა შესაძლებლობა ჩამოეყალიბებინა თავისი განსაკუთრებული მოსაზრებები საკითხთან დაკავშირებით. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო სტუდენტთა 51%

კვლევა განახორციელა უნივერსიტეტის კარიერული განვითარების ცენტრმა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით.


## გამოკითხვის შედეგები

### სასწავლო პროგრამის შეფასება სტუდენტების მიერ

1 რატომ გადანყვიტეთ ამ პროგრამაზე ჩაბარება?

 Copy

33 responses




- მალიან ბევრი ინფორმაცია მაქვს დასაქმების შესაძლებლობების შესახებ
- მომწონს აღნიშნული საქმიანობა და დარგი
- არ ვიცი, იყო ადგილები და ჩავაბარე
- ყველაზე საინტერესო სწავლის შედეგები აქვს, რასაც გავეცანი პროგრამის კატალოგის საშუალებით
- რეგიონში რომ მქონოდა შესაძლებლობა უმაღლესი განათლებ...

2 პროგრამის სწავლის შედეგები აკმაყოფილებს თუ არა ბაზრის მოთხოვნებს?

 Copy

33 responses




- არ ვარ კომპეტენტური გავცე პასუხი ამ კითხვას
- საკმაოდ კარგად ვიცი ბაზრის მოთხოვნები და ზუსტად მას ემსახუ...
- აკადემიური პერსონალის გამოცდილებაზე დაყრდნობით ვენდ...
- სწავლის შედეგები ნამდვილად ავსებს პროფესიულ საფეხურზე მიღებულ გ...
- საჭიროა სწავლის შედეგებისა და ბაზრის მოთხოვნების მუდმივი გადა...

### 3. აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია და ცოდნა (თეორიული და პრაქტიკული) რამდენად სრულად ემსხურება სწავლის შედეგების მიღწევას?

Copy

32 responses




- აბსოლუტურად სწავლის შედეგების სრულყოფისკენაა მიმართული სწავლა-სწავლების პროცესში მათი შესაძლებ...
- არ მაქვს პასუხი
- თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების გადაცემის სტუდენტების...
- მეტი შრომის ბაზრის ფარგლებში უკვე დასაქმებული პერსონალი შეავსებდა...
- უნივერსიტეტს უკვე არა ერთი პროგრამის ფარგლებში აქვს დამტკი...

### 4 შრომის ბაზარზე თქვენს მეტ კონკურენტუნარიანობასა და დასაქმებას რა შეუწყობდა ხელს?

Copy

33 responses



- არ მაქვს ამის შესახებ ჯერ ინფორმაცია
- შრომის ბაზრის წარმომადგენლებთან შეხვედრები, კურიკულუმს გარე აქტივობის სახით
- ყველაფერია გაკეთებული ამ მიმართულებით უნივერსიტეტის მხ...
- პროგრამაში გათვალისწინებულია შრომის ბაზრის სიახლოვისთვის აქტ...
- უმალესი განათლების დიპლომის ქონა


### ადმინისტრაციული პერსონალის შეფასება სტუდენტების მიერ

კვლევა ცხადყოფს, რომ სტუდენტები საკმაოდ მაღალ შეფასებას აძლევენ სასწავლებლის ადმინისტრაციული პერსონალის მუშაობას. გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა აცხადებს რომ კმაყოფილები არიან პერსონალის მუშაობით და მათთან ურთიერთობის გამოცდილებით.

6. რამდენად კმაყოფილი ხართ ურთიერთობებით ადმინისტრაციასთან -მათი მომსახურების ხარისხით



32 responses



### სასწავლებლის მატერიალურ ტექნიკური ბაზის შეფასება

სასწავლებლის მატერიალურ ტექნიკური ბაზის შესახებ დამოკიდებულების გამოსახატავად სტუდენტებს ეძლეოდათ ფრაზები, რომელიც აღწერს მატერიალურ- ტექნიკურ ბაზას, რესპონდენტებს უნდა შეეფასებინათ რამდენად ერთანხმებიან მოცემულ ფრაზებს. (1 - არ ვეთანხმები, 2 -ნაწილობრივ ვეთანხმები, 3 სრულიად ვეთანხმები).


ჩამოთვლილი ფრაზებიდან სასწავლებლის სტუდენტები ყველაზე მეტად ეთანხმებიან დებულებას რომ „სასწავლებელს აქვს სასწავლო პროცესის შეუფერხებელი წარმართვისთვის საკმარისი აუდიტორიები (62.5% სრულიად ეთანხმება ამ ფრაზას) და

„სასწავლებლის ლაბორატორიები აღჭურვილია შესაბამისი რესურსით“ - სტუდენტების 68.8% ეთანხმება ამ დებულებას.

7. სასწავლებელს აქვს სასწავლო პროცესის შეუფერხებელი წარმართვისთვის საკმარისი აუდიტორიები




-----



8. სასწავლებლის ლაბორატორიები ადჭურვილია შესაბამისი რესურსით

 Copy

32 responses



სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გამუმჯობესების მიზნით

### ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები

საკმაოდ მაღალი იყო სტუდენტთა ჩართულობა გამოკითხვაში. წინამდებარე კვლევა იძლევა იმის საშუალებას, რომ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები განსახილველად გადაეცეს პროგრამის ხელმძღვანელებს და მოეწყოს მისი სიღრმისეული განხილვა „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირების მიზნით შექმნილ სამუშაო ჯგუფში.

1. სტუდენტები საერთო ჯამში კმაყოფილი არიან პროგრამის სწავლის შედეგებით, და აფიქსირებენ, რომ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს დასქმებას. თუმცა სტუდენტთა მცირე ნაწილი თვლის მიზანშეწონილად მეტ შეხვედრებს შრომის ბაზრის წარმომადგენლებთან, ისურვენდენ პროგრამის უფრო გაძლიერებას პრაქტიკული კომპონენტით.
2. სტუდენტები საკმაოდ მაღალ შეფასებას აძლევენ უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მუშაობას. გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა აცხადებს რომ კმაყოფილები არიან პერსონალის მუშაობით და მათთან ურთიერთობის გამოცდილებით.
3. შეფასებისას საკმაოდ მაღალია სტუდენტების კმაყოფილება უნივერსიტეტის მატერიალურ ტექნიკური ბაზის - სასწავლო აუდიტორიების, ლაბორატორიებისა და საბიბლიოთეკო რესურსების მიმართ.

### დანართი 1

#### სტუდენტის კითხვარი

##### 1 რატომ გადაწყვიტეთ ამ პროგრამაზე ჩაბარება

- ა) დიახ, რამდენადაც ძალიან ბევრი ინფორმაცია მაქვს დასაქმების შესაძლებლობების შესახებ
- ბ) მომწონს აღნიშნული საქმიანობა და დარგი და მივიღებდი მონაწილეობას დარგის განვითარების მიზნით
- გ) არ ვიცი, იყოს ადგილები და ჩავაბარებ ალბათ
- დ) ყველაზე საინტერესო სწავლის შედეგები აქვს, რასაც გავეცანი პროგრამის კატალოგის საშუალებით
- ე) რეგიონში რომ მქონოდა შესაძლებლობა უმაღლესი განათლების პროგრამაზე ჩაბარების

აქამდეც

მას ავირჩევდი

ვ) სხვა -----

##### 2 პროგრამის სწავლის შედეგები აკმაყოფილებს თუ არა ბაზრის მოთხოვნებს?

- ა) არ ვარ კომპეტენტური გავცე პასუხი ამ კითხვას
- ბ) საკმაოდ კარგად ვიცი ბაზრის მოთხოვნები და ზუსტად მას ემსახურება პროგრამის სწავლის შედეგები
- გ) აკადემიური პერსონალის გამოცდილებაზე დაყრდნობით ვენდობი მოცემულ შედეგებს
- დ) ვისურვებდი სწავლის შედეგები გაიწეროს უფრო გასაგებად
- ე) საჭიროა სწავლის შედეგებისა და ბაზრის მოთხოვნების მუდმივი გადახედვა
- ვ) სხვა -----

**3 აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია და ცოდნა (თეორიული და პრაქტიკული)  
რამდენად სრულად ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას?**

ა) აბსოლუტურად სწავლის შედეგების სრულყოფისკენაა მიმართული სწავლა-სწავლების პროცესში მათი შესაძლებლობები

ბ) არ მაქვს პასუხი

გ) თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების გადაცემას სტუდენტებისთვის ემსახურება ძალიან კვალიფიციური და სათანადო კომპეტენციის მქონე პერსონალი

დ) მეტი შრომის ბაზრის ფარგლებში უკვე დასაქმებული პერსონალი შეავსებდა ცოდნასა და უნარებს

ე) უნივერსიტეტს უკვე არა ერთი პროგრამის ფარგლებში აქვს დამტკიცებული ჩართული პირების შესაბამისობა

ვ) სხვა -----

**4 შრომის ბაზარზე თქვენს მეტ კონკურენტუნარიანობასა და დასაქმებას რა შეუწყობდა ხელს?**

ა) არ მაქვს ამის შესახებ ჯერ ინფორმაცია

ბ) შრომის ბაზრის წარმომადგენლებთან შეხვედრები, კურიკულუმს გარე აქტივობის სახით

გ) უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა და ამ მიმართულებით უნივერსიტეტის მხრიდან ყველაფერი კეთდება

დ) პროგრამაში გათვალისწინებულია შრომის ბაზრის სიახლოვისთვის აქტივობები (თავისუფალი კრედიტები, საბოლოო პროექტი, ნაშრომი და სხვა)

ე) სხვა -----

**5 საგანმანათლებლო პროგრამის რომელ კომპონენტს გაამდიერებდით?**

- ა) ონლაინ სწავლებას
- ბ) პირსპირ სწავლების მეტ შესაძლებლობას
- გ) საბოლოო პროექტს, ნაშრომს
- დ) პრაქტიკულ კომპონენტს
- ე) თეორიულ ცოდნას
- ვ) შეფასების სისტემას
- ზ) სწავლა-სწავლების მეთოდებს
- თ) სხვა -----

**6. რამდენად კმაყოფილი ხართ ურთიერთობებით ადმინისტრაციასთან -მათი მომსახურების**

**ხარისხით** ა) ძალიან

უკმაყოფილო

ბ) უკმაყოფილო

გ) მეტ-ნაკლებად უკმაყოფილო

დ) კმაყოფილი ე) ძალიან

კმაყოფილი

**7. სასწავლებელს აქვს სასწავლო პროცესის შეუფერხებელი წარმართვისთვის საკმარისი აუდიტორიები**

ა) არ ვეთანხმები

ბ) ნაწილობრივ ვეთანხმები

გ) სრულიად ვეთანხმები

**8. სასწავლებლის ლაბორატორიები აღჭურვილია შესაბამისი რესურსით**

ა) არ ვეთანხმები

ბ) ნაწილობრივ ვეთანხმები

გ) სრულიად ვეთანხმები











## შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

### ფარმაცის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულთა გამოკითხვა

#### კვლევის მიზანი

უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა გამოკითხვა განხორციელდა 2021-2022 სასწავლო წელს. კვლევის ჩატარების მიზანი იყო დაგვედგინა კურსდამთავრებულთა კმაყოფილება მათ მიერ გავლილ პროგრამასთან მიმართებაში, გამოგვეკვეთა მათი მხრიდან დანახული პროგრამის სუსტი და ძლიერი მხარეები და მიღებულ შედეგები გამოგვეყენებინა ერთგვარ ინსტრუმენტად საგანამართლებლო პროგრამაში შესაბამისი ცვლილებების შესატანად.


#### კვლევის მეთოდი

კვლევის მიზნის მისაღწევად გამოყენებულ იქნა კვლევის რაოდენობრივი მეთოდი. რაოდენობრივი კვლევისათვის მონაცემების მოპოვების გზად არჩეულ იქნა კურსდამთავრებულთა ონლაინ გამოკითხვა “Google Forms” პლატფორმის გამოყენებით, რომლის ფარგლებში თითოეულ რესპონდენტს სოციალური ქსელის მეშვეობით გადაეგზავნა სპეციალურად შემუშავებული კითხვარის ბმული. შერჩევის მეთოდის სახით აღნიშნული რაოდენობრივი კვლევისათვის გამოყენებულ იქნა გენერალური ერთობლიობის გამოკითხვა, რაც გულისხმობდა 2019-2021 წლების კურსდამთავრებულთა გამოკითხვას. გულახდილი პასუხების მიღებისა და, შესაბამისად, გამოკითხვის შედეგების სანდოობის ამაღლების მიზნით, გამოკითხვა იყო ანონიმური. რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტად გამოყენებულ იქნა სტრუქტურირებული ანკეტა (დანართი 1), რომელიც მოიცავდა ე.წ. ”დახურულ კითხვებს”, სადაც წინასწარ იყო მოცემული სავარაუდო პასუხები, თუმცა რესპოდენტს ასევე ეძლეოდა შესაძლებლობა ჩამოეყალიბებინა თავისი განსაკუთრებული


მოსაზრებები საკითხთან დაკავშირებით. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო კურსდამთავრებულთა 53 %.

კვლევა განახორციელა უნივერსიტეტის კარიერული განვითარების ცენტრმა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით.

კურსდამთავრებულთა კვლევამ რამდენად გამოსადეგი იყო პროგრამის ფარგლებში მიღებული სწავლის შედეგები შრომის ბაზარზე, მიუხედავად იმისა რომ გამოკითხული კურსდამთავრებულები დასაქმებული იყვნენ პროფესიით, დასახელდა მეტი პრაქტიკული კომპონენტის არსებობა.




ასევე, კითხვაზე რა გააუმჯობესებს თქვენ კონკურენტუნარიანობას შრომის ბაზარზე, რესპოდენტთა უმეტესობამ მეტი პრაქტიკული უნარების ფლობა დაასახელა.



### 3 რომელი კომპონენტის გაძლიერება უფრო მეტად დაგჭირდებათ?



15 responses



### 3.1 სხვა

4 responses

კარგი იქნება პროგრამაში იყოს ისეთი საგნები, რომლებიც კლიენტზე ორიენტირებას გვასწავლის

კლიენტთან ურთიერთობის უნარები უმჯობესია გაუმჯობესდეს

მუშაობის პროცესში აღმოჩნდა რომ უმნიშვნელოვანესია კლიენტზე ორიენტირება, კარგი იქნება ამ კუთხით პროგრამის უფრო გაძლიერება


მეტი პრაქტიკული უნარები და კლიენტებთან ურთიერთობის ცოდნა

კურსდამთავრებულთა კვლევამ აჩვენა, რომ კომპეტენციათა ჩამონათვალში წამყვან ადგილს იკავებს პროფესიული კომუნიკაციის უნარები, კლიენტთან ურთიერთობის უნარები.

#### 4 რამდენად მიმღები და ღიაა შრომის ბაზარი აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულისთვის?

Copy

15 responses




- დიდია მოთხოვნა
- არ სჭირდება შრომის ბაზარს აღნიშნული კურსდამთავრებული
- არ ვიცი, არ მაქვს ინფორმაცია
- ბაზარს სჭირდება მრავალპროფილური სწავლება
- ბოლო დროს განსაკუთრებით აქტუალური გახდა აღნიშნული მიმართულება

#### 5 უსურვებდით თუ არა სხვებს მსგავს პროგრამაზე ჩაბარებას და რატომ?

Copy

15 responses



- არ ვუსურვებდი იმდენად რამდენადაც რეალურად შრომის ბაზარი არ ამარ...
- აუციებლად ვუსურვებდი იმდენად მოთხოვნადი და რელევანტურია
- არ გამოვდგები ამ შემთხვევაში მრჩევლად
- არა თუ ვუსურვებდი, არამედ მოვუწოდებდი იმდენად საჭიროა შრ...
- იმლევა ფართო გასაქანს დასაქმებისთვის და კარგია

კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გამუმჯობესების მიზნით

ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები

საკმაოდ მაღალი იყო კურსდამთავრებულთა ჩართულობა გამოკითხვაში. წინამდებარეკვლევა იძლევა იმის საშუალებას, რომ კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები განსახილველად გადაეცეს პროგრამის ხელმძღვანელებს და მოეწყოს მისი სიღრმისეული განხილვა „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირების მიზნით შექმნილ სამუშაო ჯგუფში.

1. კურსდამთავრებულები საერთო ჯამში კმაყოფილი არიან პროგრამის სწავლის შედეგებით, თუმცა ისურვენდნენ პროგრამის უფრო გაძლიერებას პრაქტიკული კომპონენტით.
2. კურსდამთავრებულები დასახელებული კომპეტენციებიდან ყველაზე უფრო მნიშვნელოვნად თვლიან პროფესიული კომუნიკაციის/კლიენტთან ურთიერთობის უნარებს.



## დანართი 1

### ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულის კითხვარი

**1 რამდენად გამოსადეგი აღმოჩნდა პროგრამის ფარგლებში მიღებული სწავლის შედეგები შრომის ბაზარზე**

- ა) აბსოლუტურად გამოსადეგი
- ბ) საჭიროა მეტი პრაქტიკა
- გ) თეორიული ცოდნის გაძლიერებაც აუცილებელია
- დ) არ მაქვს სათანადო პასუხი
- ე) აუცილებელია შრომის ბაზრის მოთხოვნების პერიოდული შესწავლა პროგრამის ეფექტურობისთვის
- ვ) შრომის ბაზარი ითხოვს უმაღლესი განათლების მქონე კადრებს დარგის შემდგომი განვითარების მიზნით

ზ) სხვა -----

**2 რა გააუმჯობესებს თქვენს კონკურენტუნარიანობას შრომის ბაზარზე?**

- ა) პროგრამის მუდმივი მოდიფიცირება შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად
- ბ) დამსაქმებლების მეტი ჩართულობა პროგრამაში როგორც შემუშავების, ისე მისი მოდიფიცირების მიზნით

- გ) უმაღლესი განათლების დიპლომის ქონა
- დ) სტაჟირების პროგრამა, რომ სტაჟირება გამოცდილებაში ჩამეთვალოს
- ე) არ მაქვს პასუხი

ვ) სხვა -----

**3 რომელი კომპონენტის გაძლიერება უფრო მეტად დაგჭირდებათ?**

- ა) თეორიული ცოდნის
- ბ) პრაქტიკული უნარების
- გ) ორივე (თეორიული და პრაქტიკული), დარგის განვითარების შესახებ მეტი დეტალის ცოდნა ანუ უმაღლესი განათლება

დ) არ ვიცი, არ მაქვს ამის შესახებ ინფორმაცია

ე) სხვა -----

**4 რამდენად მიმღები და ღიაა შრომის ბაზარი აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულისთვის?**

- ა) დიდია მოთხოვნა
- ბ) არ სჭირდება შრომის ბაზარს აღნიშნული კურსდამთავრებული
- გ) არ ვიცი, არ მაქვს ინფორმაცია
- დ) უფრო მეტია ბაზრის მოთხოვნა უმაღლესი განათლების დიპლომის მქონეთათვის, რომ დარგი განავითაროს

ე) ბოლო დროს განსაკუთრებით აქტუალური გახდა აღნიშნული მიმართულება

ვ) სხვა -----

**5 ვუსურვებდით თუ არა სხვებს მსგავს პროგრამაზე ჩაბარებას და რატომ?**

ა) არ ვუსურვებდი იმდენად რამდენადაც რეალურად შრომის ბაზარი არ ამართლებს მოლოდინებს, იმდენად რამდენადაც აღნიშნული სპეციალობა არ არის მოთხოვნადი

ბ) აუცილებლად ვუსურვებდი იმდენად მოთხოვნადი და რელევანტურია

გ) არ გამოვდგები ამ შემთხვევაში მრჩევლად

დ) არა თუ ვუსურვებდი, არამედ მოვუწოდებდი იმდენად საჭიროა შრომის ბაზარზე აღნიშნული სპეციალობა

ე) იძლევა ფართო გასაქმანს დასაქმებისთვის და კარგია

ვ) სხვა -----





